რომპეტროლი

№ 03-29.85/H911 "10" 03 2020

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის

მინისტრის მოადგილეს ქალბატონ ნინო თანდილაშვილს

ქალბატონო ნინო

თქვენი 2020 წლის 4 მარტის #2408/01 წერილთან დაკავშირებით, რომელიც ეხება შპს „რომპეტროლ საქართველოს", ბორჯომის მუნიციპალიტეტში ავტოგასამართი სადგურის მოწყობისა და ექსპლოატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხს, გაცნობებთ, რომ ჩვენს მიერ წარმოდგენილ სკოპინგის ანგარიშის პირველ თავში - „შესავალი", აღნიშნულია, რომ ავტოგასამართი ობიექტის მოწყობის სამუშაოები დაიწყო მშენებლობის ნებართვის საფუძველზე. აქვე მითითებულია, რომ ბენზინგასამართ სადგურს, საწვავის ავტოცისტერნებიდან მისაღებად გააჩნია მიწისქვეშა ავზები.

ამავე დოკუმენტის მე-3 თავში „პროექტის აღწერა" მოცემულია შემდეგი ტექსტი - შპს „რომპეტროლ საქართველო" გეგმავს ავტოგასამართი სადგურის მოწყობას, რომლის მოწყობის სამუშაოები უკვე დაწყებულია ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის 2018 წლის 15 ნოემბრის #02 2471 ბრძანებით გაცემული მშენებლობის #191 ნებართვის საფუძველზე. ავტოგასამართი სადგურის ინფრასტრუქტურული ობიექტებია: ადმინისტრაციული შენობა (ოფისი და კაფე-მარკეტი), ლითონის კონსტრუქციის მსუბუქი გადახურვა - საწვავ გასამართი ფარდული, საწვავის მარიგებელი სვეტი (დისპენსერი), საწვავის მიწისქვეშა ავზები (60მ3X2ც), საწვავის ავზების მიმღები სისტემა, საწვავის საჰაერი მილები, მეხამრიდი, რომელიც უზრუნველყოფს საწვავის მიღების დროს საწვავმზიდის დამიწებას, ავტოცისტერნის გასაჩერებელი, ავტოსადგომი, ავტოსადგომი შშმპ-სთვის" და ა.შ. ამავე თავში განხილულია ბენზინგასამართი სადგურის ინფრასტრუქტურული ობიექტები.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის აპარატი № 4398 "12" 03 2020 02

შპს "რომპეტროლ საქართველო", თბილისი 0171 მ. ალექსიძის ქ. 12
ტელ.: (+995 32) 291 07 27, (+995 32) 291 07 78, ფაქსი: (995 32) 291 07 63, www.rompetrol.ge

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე. დოკუმენტში ნათლად ჩანს, რომ აღნიშნული ობიექტის მოწყობის სამუშაოები დაწყებულია, თუმცა დასრულებული არ არის, გარკვეული სამუშაოები შეჩერებულია.

სკოპინგის პროცედურის შეფერხების თავიდან აცილების მიზნით, მოხდა სკოპინგის ანგარიშის გადამუშავება დამატებითი ინფორმაციისა და რეალობის ამსახველი ფოტომასალის გათვალისწინებით.

გთხოვთ, უზრუნველყოთ სკოპინგის პროცედურის ადმინისტრაციული წარმოების გაგრძელება.

დანართი : სკოპინგის ანგარიში ელ.ვერსიასთან ერთად

პატივისცემით,

ზამანბეკ მირზაიანოვი

გენერალური დირექტორი

მალიკ ტულეკოვი

ფინანსური დირექტორი